სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

76852524793114

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140605705

რეგისტრაციის თარიღი

13.06.2014 წ

ნოტარიუსი: ნინო მათუაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10
ტელეფონი: 2 38 36 32 591 70 99 74

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას თოთხმეტი წლის ცამეტ ივნისს მე, **საქართველოს ნოტარიუსს ნინო მათუაშვილს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №10, მომმართა **შპს "აკა"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 204875082, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B14030282, მომზადების თარიღი: 24/03/2014 11:01:37, რომელიც აღნიშნულ მინდობილობას თან ერთვის) დირექტორმა დავით მკალავიშვილმა** (დაბადებული 05.06.1958წ. პირადი № 01008009428, მცხოვრები: თბილისი იმედაძის I გას. №10ა). მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის გაფორმება **გიორგი ლობჟანიძის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მხარის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პ/მ და სსიპ სსგს ელ. მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზემოთ აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე დავადგინე მხარის ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მხარეს, განვუმარტე მისი შინაარსი და მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის გარემოება, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მიმნდობმა პირადად წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა, მოიწონა ის და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას თოთხმეტი წლის ცამეტ ივნისს, მე, **დავით მკალავიშვილი** (დაბადებული 05.06.1958წ. პირადი № 01008009428, მცხოვრები: თბილისი იმედაძის I გას. №10ა), როგორც შპს **"აკა"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 204875082)** დირექტორი, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ

ბ-ნ გიორგი ლობჟანიძეს (დაბადებული 10.06.1986წ. მცხ. თბილისი ო.კელაპტრიშვილის ქ. 3, პირადი № 01020012215)

რათა მან წარმოადგინოს და დაიცვას შპს "აკა "-ს ინტერესები ქ.თბილისის მერიასა და ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის ქ.თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, რათა აწარმოოს მისდამი დაქვემდებარებული საკითხების მოგვარება, კერძოდ: შეიტანოს ნებისმიერი სახის წერილობითი მოთხოვნა მერიასა და მის დაქვემდებარებულ ნებისმიერ ორგანოში, აიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი, მათ შორის სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უძრავი ქონების გაერთიანების ნებართვა და ბრძანებები, რომელიც შეეხება თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №6 (საკადასტრო კოდი: 01.14.06.008.001, 01.14.06.008.003 და 01.14.06.008.006) ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთსა და მათზე არსებულ უძრავი ნივთის მშენებლობის საკითხს, ასევე უფლებას ვაძლევ მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ განხილვებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მინდობილი პირი უფლებამოსილია აგრეთვე განახორციელოს სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადითდა არ ექვემდებარება გადანდობას

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი: 10 (ათი) ლარი 29.12.2011წლის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლის თანახმად და 2 (ორი) ლარი იმავე დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური. და 1,80 დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

მიმნდობი: დავით მკალავიშვილი
შპს "აკა"-ს დირექტორი

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი